სანაშენე მოზარდის (6–20 თვემდე) კვება

რძით კვების შეწყვეტის შემდეგ, პირველ დღეებში,ხბოს მივცეთ იმავე სახის და ხარისხის მცენარეული საკვები, როგორიც ეძლეოდა რძით,კვების დამთავრებისას, რძით კვების პერიოდში სწორად გამოზრდილი ხბო უკვე შეჩვეულია მოცულობიანი უხეში, მწვანე , წვნიანი და კონცენტრირებული საკვების ჭამას და გარდამავალ პერიოდში, რაიმე მნიშვნელოვანი გართულება არ აღენიშნება. ამის შემდეგ აუცილებელია ვაკონტროლოთ მისი წონაში მატება და საკვების მიღება გადამუშავება. უნდა ვიზრუნოთ შესაბამისად ულუფის გაზრდაზე, რათა ზრდაში არ ჩამორჩეს

სანაშენე მოზარის გამოზრდა უნდა დაიგეგმოს ისეთნაირად, რომ არ დავუშვათ დაბალი წონამატის ხანგრძლივად მიღება, ვინაიდან ეს გამოიწვევს მოზარდის დაკნინებას. ოპტიმალურად ითვლება შეირჩეს ხბოს გამოზრდის ისეთი სქემა რომელიც 12 თვის ასაკისთვის უზრუნველყოფს დაბადების ცოცხალი მასის 7–9–ჯერ ხოლო 1,5 წლისათვის 11–12–ჯერ გაზრდას.

გამოცთილება გვიჩვენებს, რომ ოპტიმალურად შეიძლება ჩაითვალოს სანაშენე დეკეულების გამოზრდის (ცოცხალი მასის მატების) შემდეგი გეგმა: იხ. ცხრილი 1

სანაშენე დეკეულის გამოზრდის გეგმა

ფურის მასა კგ	მასა დაბადებისას კგ.	ხბოს ასაკი თვე						
		3	6	9	12	15	18	20
280–320	15–18	55	90	125	155	185	205	240
370–400	18–25	70	120	165	205	240	265	320
400–450	25–30	80	130	175	215	250	285	350
500–550	30–35	95	155	210	260	305	345	430
600–650	35–45	105	175	240	300	355	405	490

აღნიშნულიდან გამომდინარე ფერმერულ მეურნეობებში დაბალი სარძეო პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად განპირობებულია სანაშენე მოზარდის შეუსაბამო კვებით პოსტემბრიონალური განვითარების ცალკეულ ეტაპზე (დედის ორგანიზმიდან გამოსვლის შემდეგ).

24 თვემდე სანაშენე მოზარდის გამოზრდისათვის საჭირო ნივთიერებისა და ნაერთის შემცველობა უიუფაში გათვალისწინებულია მოცემულ ცხრილში, რომელიც ორგანიზმის მოთხოვნილებას სრულიად დააკმაყოფილებს. იხ.ცხრილი 2.

დღიურ ულუფაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ცოცხალ მასასთან

ცხრილი 2

ასაკი	ცოცხალი მასა კგ	დღიური მოთხოვნილება					
		საკვები ერთეული კგ	მიმოცვლითი ენერგია მ ჯოული	მონელებ. პროტეინი გ.	საკვები წონისა და სახეების მიხედვით		
					კონცენტრატი კგ	თივა კგ	წვნიანი საკვები კგ
6–7	120–140	3,4-3,5	27-29	340-345	1,0	4,0	8
8–9	150-170	3,7-3,9	31-33	355-365	1,0	4,0	9
10–12	180-210	4,1-4,3	35-39	580-620	1,2	4,0	11
13–15	220-245	4,5-4,7	40-43	415-425	1,35	4,5	11
16–18	260-280	4,8-5,0	44-48	430-440	1,5	5,0	13
19–20	290-310	5,1-5,3	49-52	450-465	1,5	5,0	14

გვიან შემოდგომაზე, ზამთარში და ზაფხულის კარგ ამინდში 6 თვეზე უხნესი ასაკის სანაშენე დეკეულის საძოვარზე ძოვება აუცილებელია, რათა მიღწეული იქნას 600–700 გრამიანი დღიური წონამატი, დამატებით საკვებთან ერთად. დღეში მოზარდი 5–6 სათი უნდა იყოს მოციონზე, მაგრამ არაა სასურველი წვიმიან და მცხუნვარე მზიან ამინდში თუ პირუტყვს არ გააჩნია საჩრდილებელი.